საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-1639
01/06/2022

1639-გ-2-202206011730

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ გივი გიუტაშვილს

ბატონო გივი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში" შემოსულია თქვენი 20.05.2022 წლის N34-342214073 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ 72.03.19.333) გამიჯვნისა და შემდგომში პრივატიზების მიზნით.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (ს.კ 72.03.19.333) გადის ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 (ს.კ 72.00.610) გამანაწილებელი, რომლის გასხვისების ზოლი მოცემულ შემთხვევაში შეადგენს სარწყავი არხის ორივე მხარეს 4-4 მეტრს, „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" მიწის ნაკვეთის რეგისტრირებისას. ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ მიწის პრივატიზების დროს აღნიშნული ტერიტორია დაიტვირთოს სერვიტუტით.

პატივისცემით,

თენგიზ ნასარიძე

გენერალური დირექტორი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/8028
02/06/2022

8028-2-03-2-202206020855

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ **გივი გიუტაშვილს**

ბატონო **გივი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2022 წლის 20 მაისის №34-342214070 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ მისაქციელში, საერთასორისო მნიშვნელობის **მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ5-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს 15 მეტრის დაშორებით არსებული 1109კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N72.03.19.333) **ნაწილი ფართის - 95კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N72.03.19.333) **ნაწილი ფართის - 95კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
ID 202403121
Central Regional Office
V.Fshavela Str.1
Georgia, Mtskheta, 3300
Tel: 16 114
E-mail: socargas@socar.ge
www.mygas.ge

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

№ O-SGG-AS-LT-2022-5-25/06

25.05.2022

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 20.05.2022 წლის N34-342214071 წერილის პასუხად, სოფელ მისაქციელში არსებულ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: 72.03.19.333) გამიჯვნის, მის შემდგომ პრივატიზებასთან დაკავშრებით მოგახსენებთ, რომ ნაკვეთის გასწვრივ გადის ჩვენი კომპანიის კუთვნილი გაზსადენი. ამასთან, ჩვენი კომპანია აღნიშნული ნაკვეთის პრივატიზების წინააღმდეგი არ არის იმ პირობით, რომ არ მოხდება გაზსადენთან მისასვლელი გზის დაკეტვა და დაცული იქნება შესაბამისი ტექნიკური პირობები, რათა საჭიროების შემთხვევაში, გაზსადენი მილის საავარიო-საექსპლოატაციო მომსახურების მიზნით, გვექნება გაზსადენთან მისვლის და შესაბამისი ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

ცენტრალური რეგიონული ოფისის დირექტორი

გ.შანიძე

შემსრულებელი:ნუკრი მიხანაშვილი,
სპეციალისტი
ტელ. 593520995